ოქმი:**ო37.37212231**
თარიღი:**11/08/2021**

ოქმი #18

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს რიგგარეშე სხდომის

2021წელი, 10 აგვისტო

ქ. ოზურგეთი

12^{00} – 13^{00} საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია -ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრები: გ.ღურჯუმელიძე, გ. ჩაგანავა, გ.კილაძე, ბ.დოლიძე, ლ.ბიგვავა, ტ.აროშიძე, დ.ჭაკნელიძე, ლ.საჯაია, გ.ჩავლეშვილი, ე.გორდელაძე.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატისა და მერიის პასუხისმგებელი მუშაკები.

სხდომის თავმჯდომარე დავით დარჩია მიესალმა ბიუროს წევრებსა და დამსწრეთ, მიაწოდა ქვორუმზე ინფორმაცია, 15 წევრიდან სხდომას ესწრება 11, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. შემდეგ გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც ერთხმად დაამტკიცეს.

დღის წესრიგი

1.„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ -ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ავთანდილ ჩხაიძე

თანამომხსენებელმა ა. ჩხაიძემ განაცხადა, რომ 38-ობიექტზე „არასაოფლო-სამეურნეო“-ს ნაცვლად უნდა ეწეროს „სასოფლო-სამეურნეო“.

2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალის განთავსების რეგულირების შესახებ“ -ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლაშა თავაძე

შეტანილ იქნა საკრებულოს მომდევნო სხდომის დღის წესრიგში, განსახილველად დაეწერა დარგობრივ კომისიას (ე.გორდელაძე).

3. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის სამსახურებრივი უფლებამოსილების შეჩერების შესახებ“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლაშა თავაძე

4. „მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოების- საკრებულოსა და თვითმმართველი ქალაქი/თვითმმართველი თემის 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნების საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკის დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2021 წლის 3 აგვისტოს N99/2021 განკარგულების -ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროსათვის ინფორმაციის წარდგენის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

ბიუროს სხდომამ საკითხი მიიღო ცნობად.

5. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 0,5%-ის მიერ ელექტრონული ფორმით წარმოდგენილი პეტიციის -სოფელ კონჭკათისა და ორმეთის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციის შესახებ“ -ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მიერ განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

გადაწყვიტეს:

1. ბიუროს სხდომის დღის წესრიგში გათვალისწინებული N2, 3 საკითხები შეტანილ იქნას საკრებულოს მომდევნო სხდომის დღის წესრიგში, ამასთან N2 საკითხი განსახილველად დაეწეროს დარგობრივ კომისიას(ე.გორდელაძე).

2. N1 საკითხი განსახილველად დაეწეროს დარგობრივ კომისიას(გ.კილაძე).

3. N4 საკითხი მიღებულ იქნას ცნობად.

4. პეტიცია რეაგირებისათვის გადაეგზავნოს მუნიციპალიტეტის მერიას. კონტროლის მიზნით დაეწეროს დარგობრივ კომისიას (ლ.ბიგვავა), ეცნობოს პეტიციის ავტორს.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი